

«დროების» რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.  
 ხელის მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ Тифлисъ, въ редакцію «Дროба»  
 ფასი: წელით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპიკანი. ცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.  
 თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბუთებელ გამოცხადებულ წერილებს. დაუბუთებელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბუნებს ავტორს.  
 წაღებ ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპიკი

## გამოვიდა ამ წლის იანვრის წიგნი ქერხანის „ივარიისა“

**შინაური შრომისა**  
 სოფ. ძარღანებიდამა გვწერენ, რომ წარსულ წათლიღება დღეს საშინელი ჩხუბი მოსვლიათ სოფლებს და თავებიც დაუმტყრევიათ ერთმანეთისათვის იმაზედ—თუ რომელი წყარო უნდა ეკურთხებინათ. რადგან სოფელში რამდენიმე წყაროა, ყველა უბანი თავის წყაროსკენ იწვედა თურმე და ამ უბრალო საგანმა ამისთანა უსიამოვნება კი გამოიწვია.

სოფ. ზემო-ქალის მასწავლებლის თანა-შემწე, ბ. ზედგინიძე, როგორც გვწერს ერთი მასწავლებელი შეგირდის მამა, ძალიან დაშორებული ყოფილა იმ პედაგოგიურ ჰემიარიტეტსთან, რომ ცემა-ტყვიბით და გინებით სწავლება ყოვლად შეუძლებელია და არც ისა სკოლაია, რომ მისი წაღებისა და კალოშების წმენდა მოსწავლე ბავშვების ვალი არ არის. რომ ასწავლიდეს რასმე, კიდევ კარგია, მაგრამ ამ მხრივაც ღმერთს პედაგოგიურის ნიჭით არ დაუსაწყურებიაო.

## «დროების» ქელტონი, 8 თებერვალი.

### ლიტერატურული შენიშვნები.

**(ივერია) № XI და XII.**  
 ზოგიერთა წერილები, დაბეჭდილნი «ივერიის» ორს უკანასკნელს წიგნებში, შეეხებიან ფრიად საინტერესო საგნებს, რომელთაც პირდაპირი დამოკიდებულება და მჭიდრო კავშირი აქვთ ჩვენს ცხოვრებასთან და ჩვენს მომავალთან; იმათ დანონსებულებად აქვთ ჩვენივე საკუთარი ცხოვრების შესწავლა და მით ჩვენივე თვით-ცნობიერების განვითარება, ურომლოთაც ხალხის წარმატება, უმჯობესი მომავლის დამკვიდრება სწორედ რომ შეუძლებელი საქმეა. ამიტომაც მწერლობის ყოველს ნაბიჯს, რომელიც მოასწავებს ჩვენს თვით-ცნობიერების განვითარებას, დიდს სიამოვნებით უნდა მივხედოთ, მით უფრო, რომ ჩვენ, ქართველებს, ამ საქმისათვის ბევრი არა გვიშრომნია-რა.  
 რასაკვირველია, უმთავრესი წილი ამ საქმეში უნდა ჰქონდეს და კიდევაც აქვს მწერლობას, რაც უნდა არა-საზარტელს მდგომარეობაში იმყოფებოდეს ეს უკანასკნელი. შერხანალი «ივერია» შეძლებისამებრ ემსა-

შეველამ იცის, თუ რასაზარელი შედეგი მოსდევს ხოლმე უდროვოდ მიცვალბუღების დამარხვას, როცა შეცდომით უგრძობლად მდებარე ცოცხალი კაცი იმარხება.

ამ გვარი საშინელი «შეცდომის» ასაცილებლად შემოღებულია, რომ მესამე დღეზედ აღრე არა მარხადენ მიცვალბუღის, მაგრამ, როგორც ყოველის მხრიდან მოგვიღის ამბებო, ზოგიერთა სოფლებში დღით მიცვალბუღებს შუადღისას მარხადენ.

ამ გვარს უწესობას მოასობა ეჭირება, მით უფრო რომ სოფელში მტკაღ მხელია ნამდვილი სიკვდილის ნიშნების გამოჩენა და შეიძლება ლეტარგიულ ძილში ჩავარდნილი ცოცხლივ დაიმარხოს.

ძიდე ერთი მსხვერპლი მამულების გამოურკვევლობისა! 22 იანვარს გარდაცვლილა სოფ. ძოდორში, (სენაკ. მაზრა) თეიმურაზ პრჩილისძე ჩაჩავა, რომელიც დასტრამისმაცე სახლიკაცმა ხანჯლით 14 იანვარს, როგორც გვწერენ, განსვენებული ყველასაგან პატივცემული და საყვარელი კაცი იყო და მისმა სიკვდილმა მთელი საზოგადოება მწუხარებაში ჩააგდო.

**მ. შორის** სამასწავლებლო სემინარიაში მაჰმადიანთა საღმრთო წერილის მასწავლებლო, ისტატსკი

ხურება იმ დედა-აზრს, რომელიც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, და ამ აზრით უძღვნა თავის მკითხველებს უკანასკნელ თვეების განმავლობაში რაოდენიმე ფრიად საინტერესო წერილები.

ამ გვარ წერილებად ქერხანის უკანასკნელს ორს წიგნში სამართლიანად შეგვიძლიან ჩაეთვალოთ წერილი «რუსულის სკოლის დასაწყისი ჩვენში» («ივერია», № XI) და წერილი **მ. ბაქრაძისა**, სახელდობრ, «ახალ გამოკვლევებზე დაფუძნებული საქართველოს ისტორია» («ივერია» № XII). პირველი ამ წერილთაგანი მოგვითხრობს ისტორიას რუსული სკოლის შემოღებისას ჩვენში, მაშასადამე შეეხება ისეთ საგანს, რომელზედაც დამოკიდებულა ჩვენი ავი და კარგი. ამ საგანს შესახებ წარსულს წელს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო წერილი ბ. შრბნელისა («დრო.» № 187); ამ წერილში იგივე დედა-აზრი იყო გატარებული, რომლისთვისაც ამჟამად «ივერიას» უძღვნია კარგად ვრცელი წერილი. მაგრამ ამის დამიუხედავად, ჩვენ კიდევ მიუბრუნდებით იმავე საგანს, რადგანაც იგი ერთობ ღირსშესანიშნავად მიგვაჩნია. ხსენებული წერილი «ივერიისა»

სოვეტნიკი მოლოლა-შენინ-ზაიბოვი, როგორც ისმის, დაუნიშნავთ ამიერ ქაეკასიის მაჰმადიანთა მუჭტილი («აეკაზი»).

იმავე გაზეთში ვკითხულობთ: «თბილისში; პოლიციის მეხუთე განყოფილებაში, 2 თებერვალს მოქალაქემ სტეფანე ლეენინმა, გამოაცხადა, რომ მის შვილს ნიკოლოზს 6 წლისას, ჩხუბი მოუვიდა შლადიმერ შირალოვთან, 7 წლის ბიქთან, 29 წარსულს იანვარს; შირალოვის შვილმა თურმე წიხლი ჩასცა ნიკოლოზ ლეენინს მუცელში ისე მწვავედ, რომ მეოთხე დღეზე ამ უკანასკნელმა სული დალია. ამ უბედურების გამოკვლევა გადაუციათ გამოძიებლისათვის.

## ვითომ მართალია?

ჩვენ მივიღეთ ერთი წერილი, რომელიც, მართალია, ლექსით არ არის დაწერილი, მოკლებულია ლიტერატურულს ღირსებასაც; მაგრამ შიგნიმდენი გრძობაა ჩაღვენთებული, რომ ქვასაც კი გაზხეთქავს. აი, მაგალითად, ერთი პატარა ადგილი ამ წერილიდამ:

«...ორივე ქალი შესაბრალის მდგომარეობაში არიან; ისინი ეხლა მკვდრებად

გვიმტკიცებს იმასა, რომ ძველათგანვე ჩვენ, ქართველებს, გამოგვიჩენია საკმაო ძალა თვითმყოფობისათვის და საკმაო ნიჭიც სწავლა-განათლების შეძენისა და დამყარებისათვის. აეტორი ამბობს, რომ ძველადგანვე საქართველოში სწავლა-განათლება და სკოლა დამყარებულნი იყვნენ ეროვნულს ნიადაგზე, ურომლოთაც სკოლა ჰკარავს თავის უმთავრესს დანიშნულებას. აეტორის აზრით, უმთავრესი და უპირველესი პირობა სწავლა-განათლებისა ეროვნული ნიადაგია და რადგანაც ეს პირობა ჩვენ ხელთ იყოფო, ჩვენი მშობლიური სწავლა-განათლება რაციონალურს გზას დაადგებოდაო. ჩვენ ამაზე არაფერს არ ვილაპარაკებთ, თუ რა იქნებოდა: ჩვენ საუმჯობესოდ მიგვაჩნია ვილაპარაკოთ იმის შესახებ, თუ «რა იყო და რა არის». ცხადია, რომ მეცხრამეტე საუკუნემდე სწავლა-განათლება საქართველოში დამყარებული იყო ეროვნულს ნიადაგზე; წინააღმდეგი წარმოუდგენელია, რადგანაც თვით ჩვენი პოლიტიკური დამოუკიდებლობა ითხოვდა იმასა, რომ სწავლა-განათლება საქართველოში დამყარებული ყოფილიყო ეროვნულს ნიადაგზე. თუ როგორი იყო ეს სწავ-

თვლებთან თავიანთ მშობლებსთვის. ცოცხლად დამარხულან არა შავს მიწაში და ბნელს სამარეში... მაგრამ სიკვდილი ბევრწილ ურჩევნიან თავიანთ მწარე და საბაგველს სიცოცხლეს. ისინი დანას ვერა შოულობენ, რომ ყელი გამოჭრან; თოკი არ მოეპოვებთ, რომ ყელში წაიჭირონ და თავები ჩამოიღონ. გარდაც არ უშვებენ მათ, რომ ხალხონიდან მინც გამოეცივდენ და თავები მოიკლან; ოღონდ თავიანთ მშობლებს კი ცოცხლები აღარ ურჩვენან.

შინ არიან ეს აღამიანები, რომელთაც ასე გამოწარებიან სიცოცხლე და ან როგორ ჩატყენილან ასეთ მდგომარეობაში. მს უნდა ეკითხოს, ბატონებო, «ხახინკა» ანა პანდინოვას, რომელსაც თურმე ისეთი გაჭედილი ჯიბე ჰქონა, რომ ადგილად შეუძლიან სათათრეთში ნაღდ ფულზე იყიდოს... მთელი ერთი განყოფილება თავისის დარბაისელი ჩინოვნიკებით, მოკიდებული თვით პრისტავიდად, ვიდრე უკანასკნელს «სტოროქამლის»...

შაი გიდი, ანა პანდინოვან! მქვენ ფული ბძანეთ, თორემ სყიდვით მართო ღორის თავს კი არა, თვით თათრების ფაშებსაც იყიდის აღამიანი...

მინც ის ქალები ვინ არიან?— მართი განლაეთ ზღამადის ქალი ალათია, მეორე—მლისაბედ შასაბევილისა. ორნივე თოთხმეტ-თოთხმეტი წლისანი არიან, თუმცა პასპორტებში

ლა-განათლება, რაოდენად ეთანხმებოდა იგი ევროპიულსა, რა რიგად ვრცელდებოდა ხალხში, და შეადგენდა თუ არა რომელიმე წოდების ანუ მთელი ხალხის საკუთრებას,—ჩვენ ყოველივე ამის გამოსარკვევლად საკმაო საბუთები არა გვაქვს, რადგანაც ჩვენი წარსული ერთობ ნაკლებად არის შემუშავებული მეცნიერულად. ხსენებული წერილის აეტორი ცდილობს ამ მხრივაც დააკმაყოფილოს მკითხველის ცნობის-მოყვარეობა, მაგრამ მას საზოგადო ცნობებისა და მოსაზრების მეტი არა მოჰყავს-რა ერთობ რთული საგნის ასახსნელად. ჩვენ კი თითქმის უეჭველად მიგვაჩნია, რომ სწავლა-განათლება საქართველოში, თუმცა იგი დამყარებული იყო ეროვნულს ნიადაგზე, ვერ იმყოფებოდა სანატრელს მდგომარეობაში: უკანასკნელ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო ისეთს პირობებში იყო მოქცეული, რომ მისი სწავლა-განათლება უსათუოდ უნდა შეფერხებულიყო და შექმნილიყო საკუთრებად ერთი რომელიმე წოდებისა, რომელსაც დრო და მოცალეობა ექნებოდა სწავლა-განათლების წარმატებისათვის. მით აეტორიც ამბობს, რომ «უკანასკნელის ოთხის



მეტი უწყობით. მრავალ ერთნაირად მოუტაცნიათ მშობლებისთვის. პირველი მოიტაცა, როგორც შარშანდელ «დროების» № 230-ში წაიკითხავდით, პატროსანმა ბიორგი ავალიანმა; მეორე მოუტაცნია, არა ნაკლები პატროსანების პატროსან, მინა დავითის-ძეს მაკარავს. მრავალ მოტაცებულნი ჩაპვარდნია ხელში დარბაისელს «ხაზინკა» ანა ძანდინოვანს. პირველი უყიდნია ცამეტ თუმანად, მეორე უფრო იაფად—ხუთი თუმანი მიუტია. მესამე თუმანად რი «მარწყვივით» გოგია. Дешевше грибов, იტყვიან რუსები. ძარგს მოგებას იზამს ანა ძანდინოვანს. წაიდენ ეხლა და თქვან, რომ ქალების გაყიდვა აკრძალულია სათათრეთშიო.

მისაც არა სჯერა ეს ამბავი, შეუძლიან დაწერილებითი ცნობები ერთის ძალიან პოლიციის მეექვსე განყოფილებაში შეიტყოს, რადგან იქ ვილასაც სამასხაროდ მოუწერია ამბებზე სათათრეთიდან ერთი ვრცელი ეპისტოლე...

**«დროების» კორესპონდენცია.**

**სვანეთი.** როგორც მოგახსენებთ, ამას წინად სვანებს განაჩენები შედგინეს შესახებ ცოლის შერთვისა. შინდელი ჩვეულება—ქალების მოტაცება საცოლოდ—თითქმის მოისპო, რაც არის შედეგი ბ. პრისტაფი მარჯანოვის მოქმედებისა. მთელი წლის განმავლობაში, მხოლოდ ერთმა გლეხმა გასტეხა პირობა შესახებ «ნაქვლამისა» (ნაქვლაში ჰქვიან იმ

საუკუნის მწერლებში უფრო შესანიშნავნი სასულიერო მწერლები არიან, რადგანაც საერო მწერლებს ამ დროს მოკლება და დრო არა ჰქონდათ ექვსი მტრისაგან ქვეყნის აზრების გამო. მაშასადამე, შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ სწავლა-განათლება ჩვენში არ შეადგენდა მთელი ხალხის საკუთრებას; ამ გარემოებას კარგი გავლენა არ უნდა ჰქონოდა სწავლა-განათლების გავრცელებაზე; მაინცა და-მაინც, რაც უნდა შეფერხებული ყოფილიყო სწავლა-განათლება, იგი დამყარებული იყო ეროვნულს ნიადგზე და, მაშასადამე, ხელთა ჰქონდა ერთი უმთავრესი პირობათაგანი წარმატებისა. შოველივე ესე აშკარადა სჩანს «ივერიის» წერილის პირველი ნაწილისაგან.

მეორე ნაწილი წერილისა შეეხება ახლის სკოლის დასაწყისს რომლითაც... იწყება ჩვენი სწავლა-განათლების ახალი პერიოდი, სრულიად განსაკუთრებული ხასიათით. რა გზას დაადგა ახალი სკოლა, რომელზედაც დამოკიდებული იყო იმ ხანებში მთელი ქვეყნის სწავლა-განათლება? ამ კითხვებზე ერთობ გარკვეულს პასუხს გვაძლევს «ივერიის» წერილი... საქიროდ სცნეს სრულიად

ორას ან სამასს მანათს, რომელიც საქმროს მიაქვს თავის საცოლოდ გამოსაყიდად მშობლებთან). ამ გლეხს ბ. მარჯანოვმა გადახდევინა განაჩენის ძალით ორასი მანათი სოფლის საზოგადოების სასარგებლოდ.

წარსული წლის დეკემბრის განმავლობაში, ბ. მარჯანოვმა გარდასწყვიტა საქმე თითქმის ას-ორმოც-და-ათი მოტაცებული ქალისა. ძალიან სამძიმოს დამატირებელ სურათს წარმოადგენდა ეს ამოღენა ქალების კაშორება თავის ქმრებთანა და შეილებთან. თუ რა ძნელა ასასრულებელი იყო ეს საქმე, მოვიყვან ერთს მაგალითს. წარსულს დროს, სვანეთში მოხდა იმერეთის ეპისკოპოზი ბაბრიელი. სოფ. წვირმისში მისმა ყოვლად-უსამღდელო-სობამ უბძანა ჩამოერთმიათ ერთი გლეხისთვის ამ გვარად მოტაცებული ქალი. ნებით არ შესრულდა ეს საქმე. ჩაუყენეს როტა, მაგრამ როტაც ვერას გახდა, და საქმე დარჩა აუსრულებელი.

ბ. მარჯანოვს დიდი შემწეობა და მხარი მისცეს მისმა თანამემწემ თ. დანიშვილიანმა და ადგილობრივმა ბლოღინმა, მ. იოსებ შაწაძემ.

მართანეთზე დაშორებულ ცოლქმართ პირობა ჩამოერთოთ, რომ უკეთეს იხიან აღკრძალულ წესზე განმეორებენ შეუღლებას, თითოზე ორას-ორასი მანათი გადაჰხდებთ საზოგადოების სასარგებლოდ და თან მაინც მათ კიდევ დააშორებენ ერთმანეთს.

ბ. მარჯანოვს ამას წინად ეთხოვნა აგრეთვე ბ. გუბერნატორისთვის შესახებ სკოლის გამართვისა და ბ. გუბერნატორიც დაპირებოდა შემწეობას. მ. ბიორგი მარჯანი, მუყალის მღვდელი, უსასყიდლოდ იძლე-

ვანსაკუთრებული სწავლა-განათლების შემოღება... რასაკვირველია, საქმე ასე უნდა დატრიალებულიყო, რადგანაც მაშინდელის რუსეთის სწავლა-განათლებლასა და პოლიტიკას სრულიად ეთანხმებოდა ჩვენში შემოღებული სისტემა სწავლა-განათლებისა... იმასაც აშკარად მოგვიხსენებს წერილის ავტორი, თუ რა აზრებით ხელმძღვანელობდენ ახალი სკოლის დაარსების დროს...

ახლის სკოლის მიმდევარნი იმ თეორიას ადგენენ, რომ სკოლას აარსებდენ საკუთრად სახელმწიფო მოთხოვნილებათათვის, — და რადგან სახელმწიფოს ეჭირებოდენ მათეურად გაწვრთნილი მოხელენი და მეომარნი, ამიტომ ზოგნი იმ აზრისა იყვნენ, რომ საქიროა სამხედრო სასწავლებელი, რადგანაც ადგილობრივი ხალხი ბუნებით მეომარი და მხნე არის, რომ ქართველს ხალხს აქვს ყველა საქირო თვისებები მეომრობისათვის; ზოგნი კი იმასა ჰფიქრობდენ, რომ საქიროა რუსული ენის გავრცელება, რადგანაც მმართველობას ეჭირება გამოცდილი და საქმის მცოდნე თარჯიმნები... სასწავლებლო ოლქის მმართველმა თ. მარონცოვის დროს, წარუდგინა

ვა თავის სახლს სკოლისთვისა ექვსი წლის ვადით, რისთვისაც მადლობის ღირსია არამცთუ მართო სვანებისა, არამედ ყოველი პატროსანი კაცის მხრივ.

სვანი.

**წერილი რედაქტორთან.**

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ერთი კითხვა დამიბეჭდოთ თქვენს პატრიმულს გაზეთში.

როდესაც მე ახალგაზდა გახლდი, სამხედრო სამსახურში ვმსახურებდი და, მოგესხებოთ, სამხედრო ჯამაგირი ძლიერ ცოტაა და არ შემიძლია მქონება გაზეთი და სხვა რამ ტვიანის გასასხენელი წიგნი, მხოლოდ ერთი პატარა წიგნი გქონდა რამდენიმე ამხანაგებს, რომელსაც რუსულად დისციპლინარნი ვხსენებდა ესხდენ. იმ პატარა წიგნს დღეში სუთჯერ გარდავიკითხავდი და სულ ზეპირად დავისწავლე; იმ წიგნში ეწერა უოვლად, რომ შეუძლებელია ერთი რამ დანაშაულობისათვის კაცი ორი სასჯულით დასაჯოსო.

მე ეს კანონი უოვლად ერთ-გვარი მგონა, მაგრამ ასე არა უოვლად ქუთაისის მცხოვრებთათვის....

წარსული წლის ენკენისთვეში გაზეთით იყო გამოცხადებული, რომ ვინც ამ წლის «ნელომკას» სახლის გადასახდისას არ შემოიტანთ, ამარჩევეს ხმა აღარ გქნებათო (განა შუა წელიწადში იმ წლის შემოსატანს «ნელომკა» ჰქვიან?) ღარბმა მცხოვრებლებმა იფიქრეს, ნეტავი ერთ-ორ თვეს გავცდიდენ და ხმა მათი ჭირის-სახანჯალო იყოსო.

მმართველობას წერილი, რომელშიაც «სამი დედა-აზრი აღიარა საქართველოში სწავლა-განათლების საფუძველად: მო-მპყრობელობა, მართმადიდებლობა და ეროვნება. ამ მზრუნველის აზრით, საქართველოს თავისი საკუთარი, ეროვნული არაფერი ჰქონია და არცა აქვს, რადგანაც თითქმის ყოველთვის თათრების და სპარსელების ქვეშევრდომი ყოფილაო... საქიროა ქართული ენა საზოგადო ენად შეიქმნეს არა თუ მართო ქართველებისათვის, არამედ საქართველოში მყოფ რუსებისათვის და ამასთანავე უნდა დაარსდეს ახალი ლიტერატურა გარეგნობით ქართული, სულით, მიმართულებით რუსული.— ამ სწორედ მაშინ შევასრულებთ ჩვენს დანიშნულებასო. («დროება» № 187, 1883 წ.)...

იმედია, მკითხველი საქმოდ ცხადად დანახავდა, თუ რა პირობებში იყო მოქცეული სწავლა-განათლება ამ საუკუნის დასაწყისში და რა აზრს მისდევდა იგი. ამის შემდეგ, მკითხველი იმასაც კარგად შეიგნებს, თუ რა ნაყოფი გამოისხა ამ გვარად დადგენილმა «სწავლა-განათლებამ» და როგორი გავლენა იქონია მან ჩვენს ყოფა-ცხოვრებაზე. ამხედ ვრცლად

მაგრამ აიღეს წიგნები და შოველიანს გაუგზავნეს, — არც თქვენთვის და არც ჩვენთვის სახანჯლოდ ჯამაგირების ფული არ გასლავთ, თუ არ მოგვრეფთო. შოველიანმა დაუარა უველას; ვისაც ჰქონდა, მისაც და ვისაც არა, ქამარი შემოამტრეს წელიდან და შინ გაისტუმრეს. შინისკენ დაბრუნებული ხალხი მიდუღუნებდ: პატრონო, ამის მეტს თუ არ გავცდიდენ, და ძალა-უნებურად ფულს გავსდევებდენ, კვ რაღაც ხმა გქონდა, ის რაღად წაგვართვესო?

აი, ახლა ჩემი კითხვა, პატრონო რედაქტორო! თუ სამხედრო სამსახურში, სადაც უფრო სასტიკად ეპურობიან სამართალს, არ შეიძლება ორი სასჯული ერთისა და იმავე დანაშაულობისათვის, — აქ რად უნდა იყოს აგრე? ან იმავე წლის გარდასახდს შუა-წელიწადში «ნელომკა» ჰქვიან, თუ არა? ამ წესების წყალობით ქუთაისის ხმონების ამარჩევესში თითქმის სამმა წილმა დატყარგა ხმა და ეს, ვგონებ, სამართლიანი საქმე არ იყოს.

ქუთათური.

**რუსეთი**

— გაზეთი «Новости» გატეობინებს, რომ შუტეობურდში გაუმართავთ ხელის-მოწერა სუთი სტიპენდიის დასასრულებლად ჭიზოკ-მატეატეურნი და ბუნებოთი მეცნიერების ქაეულტატეუსე რუსეთის უნივერსიტეტებში უფადიესი ნატურალისტის, განსკუბუელის ჩარლზ დარვინის მოსაგონებლად.

— იგივე გაზეთი გატეობინებს, რომ ერთს უყინობს ზირს შეუწირავს ათი ათასი მან. (10,000) ქალების უმად-

არ ვილაპარაკებთ, რადგანაც ყოველივე ესე უიმისოდაც ცხადია; აქ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ უწინდელ შეხედულობას სწავლა-განათლებაზე დღესაც აქვს მაგრად გადგმული ფეხი და დღესაც იგივე დედა-აზრი მოქმედებს სწავლა-განათლების საქმეში.

მეორე საინტერესო წერილი «ივერიისა» (№ XII) «ახალ გამოკვლევებზე დაუფძნებული საქართველოს ისტორია» ეკუთვნის ბ. დ. ბაქრაძეს. წერილი ესე წლოვანებით თვით «ივერიისზე» უფრო ხნიერია ექვსი-ღე წლითა; იგი დაბეჭდილი იყო 1873-ს წელს ქუჩრალში «Кавказская старина». მხლა კი «ივერიის» რედაქციამ საქიროდ სცნო ამ წერილის გადმოთარგმნა და დაბეჭდვა\*). მს გარემოება პირველის შეხედვით მართლდაც გასაოცარია, მაგრამ წერილი ბ. ბაქრაძისა შეეხება ისეთს საგანს, რომელიც დღესაც იმავე მდგომარეობაშია, როგორშიაც იმყოფებოდა წერილის შედგენის დროს.

\*) წარსულს წელს გარეცემულნი იყვნენ ხმები, ვითომც მოაზრობას განპრავდა ჰქონოდას ჩვენი ისტორიის ძველ-ნათების შესასწავლად რაოდენიმე პირთა გაგზავნა საქართველოს სხვა და სხვა ვუთხებში.





ესი კურსებისათვის სადგომის ასაშენებლად.

ამას წინაშე გასუთუბი გვატუბობენ, რომ ციმბირში დაკარგულიყოფის მთელი სტანცია, რომელიც რაოდენიმე წლის განმავლობაში მხოლოდ ჭაბჭაბუკს აჩვენებდა. ეს ჯი ამჟამად ციმბირის აღმოსავლეთის ნაწილში აღმოაჩინათ აქციისა უწყება, რომელიც სულ ტუბო-უბრად არსებობდა, რადგანაც მთელს აღმოსავლეთის ციმბირში არც ერთი არსის ქარხანა არ არსებობს. ამ აქციისა უწყებაზე წელიწადში საზინა ხარჯდება 67,000 მან., ასე რომ რვა წლის განმავლობაში საზინამ სრულიად უნაყოფოდ დატოვა ნახევარ მილიონზედ მეტი.

### სელეგრაფი

საკუთარის კორესპონდენციისაგან.

7 თებერვალს.

მ.რ.მ. გუბინ თავად-აზნაურობამ შეიმუშავა ის წესი, რა წესითაც ადვილად შეიძლება მოგროვდეს ფული სასწავლებლისა და სხვა მისთვის წინადადებით დადგენილ იქმნა, — ითხოვონ საგლეხობა ბანკის დაფუძნება და შემოდება კრედიტისა სოლო-თამასუქებზედ; ითხოვონ აგრეთვე ხიზნების საქმის საჩქაროდ დაბოლოება და საშუალო სასწავლებლებთან მოსამზადებელ კლასების გახსნა.

წინადადება ბ. დიმიტრი უიფიანისა შესახებ სათავად-აზნაურობა ბანკის წესდების შეცვლისა თა-

ვად-აზნაურობის სასარგებლოდ გადაეცა ამავე ბანკის ზედამხედველ კომიტეტს. ჩინებულად ირჯებოდენ ამ კრებაში თავად აზნაურობის წინამძღოლი და თ. რევაზ ერისთავი. დაწვრილებით მაღე შეგატუბობინებთ.

(ჩრდილოეთის სააგენტოსია.)

6 თებერვალს.

კამბარბუზი. გაზეთი «ნოვოსტია»-ს ცალ-ცალკე ნომრებად გაუიდა ადვრდალეს.

გუბინ პეტერბურგის გუბერნიის თავად-აზნაურობა შეიკრება უზანის ეკლესიაში ამორჩევების წინ ფიცის მისაღებად; პარაკლისის შემდეგ უკვლად-უსამდევდოაგსმა არსენიმ, ეპისკოპოსმა და დოგისამ, წარმოსთქვა სიტუვა იმაზედ — თუ რა მნიშვნელობა აქვთ ამორჩევებს იმისთანა წოდებისს, როგორც არის აზნაურობა; აზნაურობა სხვა უკველი წოდების წინ უნდა იდგეს, აჩვენებდეს მაგალითს ქველობისს და პატიოსნებისს, მართავდეს სახელმწიფოს ეკონომიურს მდგომარეობას, აუკეთესებდეს მისს სოციალურ უფა-ცხოვრებას და ემსახურებოდეს მისს საჭიროებათა. ფიცის მიღების შემდეგ, თავად-აზნაურნი მიიპატიეს სადილზე, რომელიც უმაღლესმა სასახლემ გაუმართა მათ სათავად-აზნაურ კრების დარბაზში. — დღეს პირველი სხდომა.

ჭინანსთა მინისტრმა ინახულა საადგილ-მამულა ბანკების წარმომადგენელნი, რომელთაც უბე გაათავეს თვისი მოქმედება.

მხრივი შესწავლა ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა, რადგანაც უიმსოდ ყოველად შეუძლებელია ჩვენ მიერ თვით-შეგნება და ეროვნული გრძობის განმტკიცება. წარსულ თაობათა ნამოქმედარი, ყოველივე, რაშიაც გათხოვნი ხალხის გენია, არ შეიძლება დაიწყებას მიეცეს, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი უარყოფს თავის მომავალს და მასადა-მე წარმატებასაც. ძველ საუკუნეთაგან ნადერძევი გონებითი თანხა უნდა შეიქმნეს საძირკვლად ხალხის წარმატებისა და განვითარებისა. მუ გათათლებულ ხალხთა ცხოვრებას დავაკვირდით, მაშინ ზემოდ ნათქვამი სრულიად უეჭველი შეიქმნება. შევლას კარგად ესმის წარსულის ისტორიის მნიშვნელობა ხალხისათვის და ამიტომაც ყოველი განათლებული ერი ცდილობს საფუძვლიანად შეისწავლოს თვისი წარსული, შეიგნოს საკუთარი ღირსება და ნაკლულევა-ნება. მასადა-მე, ცხადია, რომ ისტორია არის განამტკიცებელი ეროვნულის გრძობისა, და განმადიერებელი ხალხის თვით-ცნობიერებისა. რადგანად უფრო რიგიანად არის შესწავლული ხალხის წარსული, იმოდენად ფხიზელია ხალხი, იმოდენად

«ნოვოე ვრემიას» გაეგონია: შესახებ სახელმწიფო საადგილ-მამულა ბანკის დაწესებისა, კრებას წარმოუტყვამს ის აზრი, რომ ძნელია ამისთანა ბანკმა იმოვოს თავისუფალი ფული დიდ-ვადიან სესხის გასაცემად 7%-ზე ნაკლებ თავნის გადახდითა. ამიტომ უკეთესი იქნებოდა მთავრობა თავდებად დასდგომოდა კერძო ბანკების გირაოს ფურცლებსა. ამ შემთხვევაში ეს ბანკები შეიძლებდენ მსესხებელთაგან ნაკლები პროცენტების აღებასა.

ხმებია, რომ როტშილდის საბანკირო სახლი, რომელიც პარიკში იმყოფება, პეტერბურგში ხსნის განყოფილებასა; ამ განყოფილების მმართველად როტშილდის სიძე ეჭროსი იქნება.

პარიკში. ამბავი მოვიდა, რომ გენერალს მოლიეს დაუწყია ტოპკინში მყოფთ ჯარის კომანდირობა.

რ.მ.მ. ჩივიტა-ვეკის ახლო, მატარებელს, რომელიც იმყოფებოდა ნადირობიდან მომავალი მეფე, ოთხმა უცნობმა კაცმა რევოლვერები ესროლა; ავაზაკები ერთის გარდა უველანი გაიტყენენ; ეს ერთიც დაიჭრა და ქანდარმა დაიჭირა.

ი.რ.მ. იარმარკაზე მანიჭაქტურის პატრონები კარგად ვაჭრობენ; ჩითეულობა აქ უფრო იაფია, ვიდრე ნიქეგაროდში; გაღანტურის საქონელი საკმაოდ იყიდება; ბაინის ჩაი 42,000 უეთა მოტანილი; უეთი 96 მან. 180 მანეთამდინ ფასობს, 6—10 მანეთით ია-

მძლავრია მისი გონებითი და ზნეობითი ძალა... აი, რას ამბობს გამოჩენილი ინგლისელი მწერალი ჯონ სტიუარტ მილი: «ეროვნული გრძობა წარმოსდგება სხვადა-სხვა მიზეზებისაგან. ხანდისხან იგი არის შედეგი ეროვნული ერთობისა და მოდგმისა; უფრო ხშირად... ეხმარებიან ერთობა ენისა და სარწმუნოებისა და გეოგრაფიული სამზღვრები, მაგრამ უმთავრესი და უძლიერესი მიზეზი... არის ეროვნული ისტორია და მასადა-მე საერთო სიხარული და მწუხარება».

წარსულის შესწავლაში კაცს დიდი წინდახედულობა და სიფხიზლე ჰმართება; წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ერთმხრივი შეხედულება საქმეზე, და ეს გარემოება, რასაკვირველია, თვით საქმეს ავნებს; ამა-საც ცხადად გვიმტკიცებს სხვა ხალხთა ისტორია. ნამდვილს მამულის შეილს ჰმართებს დიდი სიფხიზლე და კემარტებისადმი სიყვარული; არასოდეს მან თვალს არ უნდა მართლოს თავის ერის ნაკლულევა-ნებას, ბნელს მხარებს და იარებს. რადგანად უფრო მიუდგომელი კრიტიკა მუშაობს წარსულის შესწავლაში, მით უფრო მკვიდრს საფუძვლზე დაყა-

ფად მარშანდელზე; მანქანის მამულა ლა ხარისხებისა იყიდება 9 მან. 30 კაპ., სოლო დაბალი ხარისხებისა 8 მან. 80 კაპ. მოველიან, რომ უფრო დაძვირდება.

ბელბრალი. ახალი სამინისტრო შესდგა; სამინისტროს თავმჯდომარედ პროგრესისტების დასის წევრი გარმანინი; იგივეა გარემე საქმეთა მინისტრიც.

ბ.მ.მ. კრებაზედ, რომელიც უმთავრესად ნემცების სოციალისტებისაგან შესდგებოდა, შენკერტი ჰქდავებდა — ძალიანობით მოვიცილოთ უველა დაბრკოლებანი, რომელიც რევოლუციის დაწყებას გვიშლიან; შენკერტს ეწინააღმდეგებოდენ გერმანიის სოციალ-დემოკრატები.

რ.მ.მ. იმის გამო, რომ სამეფო მატარებელს რევოლვერები ესროლეს, სათემო რჩევამ ქ. კორნსტოლსა, რომლის მახლობლადაც მოხდა ეს შემთხვევა, დაადგინა საყოველთაოდ გამოაკხადოს, რომ ეწინააღმდეგება იგი ამ გვარს მოქმედებას; კარაბინერს, რომელმაც ერთი ბოროტ განმზრახველთაგანი დაიჭირა, გარდაუწყვიტეს 600 დირა საჩუქარი.

ხარტოში. დღეს დილით გენერალი გორდონი კაიში მოვიდა; გენერალი გორდონი თავის რაზმით სუაკიმისაგან მიდის; აჯანყებულებმა გუბინ დაუწყეს სოლო სუაკიმის სიმაგრეებს, მაგრამ ცხენოსანმა ჯარმა განდევნა იგინი. ხმებია, რომ გორდონმა გამოსცა პროკლამაცია, რომელითაც მანდის

რებული ხალხის აწყო და მომავალი. მართმა გამოჩენილმა ინგლისელმა პოლიტიკოსმა სთქვა: «მხოლოდ იმ ხალხს მოელის უკეთესი და ბედნიერი მომავალი, რომელიც თვალს არ არიდებს თავის იარებს და ნაკლულევა-ნებას, მხოლოდ მას არ გაუჯდება ტანში მამაკედინებელი სერი, რომელსაც შეუძლიან მისი გაქარწყლება დე-მიწის ზურგიდან». მასადა-მე, ჩვენც გვმართებს დიდი სიფრთხილე და მიუდგომელი კრიტიკა წარსულის შესწავლაში, აწყო კეთილად განწყობისათვის და ბედნიერი მომავლის შექმნისათვის.

ის კი არაფერ ითქვოს, ვითომც ჩვენ საკუთარ ისტორიის შესწავლა მიგვანდეს ერთად-ერთ დანიშნულებად მწერლობისა, ერთად-ერთ საშუალებად ჩვენი თვით-ცნობიერების განმადიერებისათვის; ისტორიის შესწავლის გარდა მწერლობას სხვა საგნებიცა აქვს, მის გარდა სხვა საშუალებანიც არსებობენ თვით-ცნობიერების განვითარებისათვის, და თუ ჩვენ მართლ მასზე ჩამოვადგეთ ლაპარაკი, — მხოლოდ იმისთვის, რომ «იერიამ» მარჯვე შემთხვევა მოგვცა.

(შემდეგი იქნება)





ვარდოქანის სულთანად აღვიარეს და ჰპირდება მცხოვრებლებს ზოგიერთა გარდასახადისა გან განთავსებულუბასთა; ვარდოქან ეს პროკლამაცია იმიტომ გამოცხადდა, რომ აჯანყებულ მცხოვრებლებზე კარგი შთაბეჭდილება იქონიოს.

**7 თებერვალს.**

**რ.მ.ი.** დეპუტატთა პალატაში და სენატში მინისტრებმა წარმოადგინეს ასსნა კორნეტიკის ახლო მომხდარი შემთხვევისა, როდესაც სამეთვალ მატარებელს რევოლვერები ესროლეს. ჯერ ნამდვილად არ გამოჩვენდა ეს ამბავი. იუიან მხოლოდ, რომ ოთხი უცნობი პირი თავს დაესხა ღიანდაგთან უარაულოდ მდგარს ჟანდარმს, რომელსაც, როგორცა სჩანს, ერთი მათგანი დაუჭრია, რადგანაც იმ ადგილას დასისხლიანებული ხელსახოცი უპოვნიათ. ამას გარდა ბორცუ - მომქედთა გაქცევის დროს გადაუგდიათ ასათუთქებელი ნივთიერებით ვაჭენილი ბოთლი.

**ლ.ნ.დ.მ.ი.** გლახტონმა გამოაცხადა საზოგადოებათა პალატაში, რომ ინგლისის ელჩი რუსეთის წინაშე ამტკიცებს ამბავს მერვის რუსეთთან შეერთებისას და თუ ამ საგანზედ დიპლომატიური მიწერ-მოწერა გაიმართება, პარლამენტს აცნობებს.

**განხილვანი**


**იპირისი მინარსი:** I. პრიონთა ჯგუფი და ქართული ენა, ა. მირონიანი შეილისა. II. საანდაზო ლექსები ამოკრფილნი მეფის ტყაოსნიდან, ძელოლი და მანიღამა და მურამიანიღამა (მემდევნი). III. ლამით მზიანი ქვეყანა, ანუ შვეიცია და ნორვეგია. IV. ირავლი და კობტა ბელოდი, ლექსი ვ. მ. — ს. V. მანკიხული, მოთხრობა ა. მოხსუბარისა. VI. ბიბლიოგრაფია (სანიმუშო ნომერი ნომბათისა). VII. შანაური მიმოხილვის მაგიერი. VIII. მანცხადებანი.

**ამერიკელი კილის მინი დოქტორი პოლტარი**

პოლონიის პროსპექტზე, შიოეის სახლებში, ერთი მისაეალი მესტლის ფოტოგრაფიიდგან. იღებს პაციენტებს ხელოვნური კბილების ჩასასმელად, ამერიკულს სისტემაზე, როგორც მთელი ყბებისას; აგრეთვე ცალ-ცალკე კბილებისას, რომელნიც არაფრით არ განიჩივებან ამდელიისაგან და რომლებითაც სრულიად თავისუფლად შეიძლება საჭმლის ღეჭვა. მარჩენ კბილის ტკივილებს ჩემგან გამოგონილი საშუალებებით და უცხოეთს კბილებს, მაქეს კბილის გლეხსირი, რომელიც ამგრებს ღრძილეს, კბილებს და ცუდს სუნსა სპობს პირში, კბილების პარაშოკი, რომელიც ათეორებს და ასუფთავებს კბილებს; ეს საშუალებანი მოწონებულნი არიან მედიკინური დეპარტამენტისაგან და მათი ხმარების ნებაც მაქეს ამგედეპარტამენტისაგან. იღებს პაციენტებს სათამბინო (5—3)

ნილის საშუალებებით და უცხოეთს კბილებს, მაქეს კბილის გლეხსირი, რომელიც ამგრებს ღრძილეს, კბილებს და ცუდს სუნსა სპობს პირში, კბილების პარაშოკი, რომელიც ათეორებს და ასუფთავებს კბილებს; ეს საშუალებანი მოწონებულნი არიან მედიკინური დეპარტამენტისაგან და მათი ხმარების ნებაც მაქეს ამგედეპარტამენტისაგან. იღებს პაციენტებს სათამბინო (5—3)

**ინგლისური კინის კარამტაბი**



ერთის საწოლი 7 მანეთიდან და ორის საწოლი 14 მანეთიდან, მათი ლეიბები, ზღვის ბაღასით გატანილი ნაღვან 8 მანეთიდან. ვადეკ მემდევნი ნიუიუი იუიდა 25% - თ უფრო იაფად, ვადრე სსვგან სადმე: ბრეტანის მუტელის ნიუიუი, ჩადნები, სავარაქე, საშაქე, ჩასა და სტოლის ვოკუბი ჩანგლებითა, ფანდოსი, დასადგეკი, პირისაზანი, სტაქები, სუფოკიანი, საწაო, სკები, რიუიკები, გრაფინგები, საქაშური თუიუები, ბეუდები, სსსდათეები, ტაშტები, სასმეკები, სამარალები, გარნიცის საფეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა, ალეირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, ვაქები, უთები, წისკილები, ხეხები, ქალები, კლიტები, ინგლისის თაიები და რეკლეკები, პიუები, ზარადები, ვაშაიულები, საფანგები, ნაბუბი, ვატერპოტები, საბუბი, ხეულები, წინდები, სუფრები, საღებულები, რეკლები, კმადანი ტურტეკი, მურაბები, კამდეტები, პიუელები, სოუსები, ზღვის ბაღასი, დამიკატენები და სს. ინგლისურს მალაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს უგრადება მიაქციეთ. (100—57)

**პ. ნულუკიის სტაგვა**

ქეთისში დაბეჭდა და გამოვიდა ქართული კავლის კალენდარი, სადაც არის სომხური დეკანსწაულები ცნობები და ისტორიული შემთხვევები. ფასი სამი აბაზი ას-ასობით შეიდეკებს წესიერი ჰატიკი. ისიღება «მეზის ტაოსანი» შ. რუსთველის თხზულება სურათით, თაი შური, უსურათოდ შეიდი შური ას-ასობით შეიდეკებს წესიერი ჰატიკი. (30—24)

**ПОСТУПИЛИ ВЪ ПРОДАЖУ СЛѢДУЮЩІЯ КНИГИ:**

- Практическое Руководство* къ познанію лошади по наружному ея осмотру, составилъ Ф. Руттенбергъ, съ 171 рисункомъ и многими таблицами, чертеж., издан. 3-е, ц. 2 р. 50 к. съ пересылк.
- Столярное Искусство*, съ 151 рисункомъ и многими чертежами, составилъ В. Ленцингъ, издан. 2-е, ц. 2 р. 50 к. съ пересылк.
- Практический Ветеринарный Врачъ*, лечение лошадей, коровъ, овецъ, козъ, свиней, собакъ и домашней птицы, съ присовокупленіемъ конскаго знатока и ветеринарной рецептуры, составилъ профессоръ ветеринаріи А. Фишеръ, въ 3-хъ част., издан. 2-е, ц. 3 р. съ пересылк.
- Домашній Общеупотребительный Вкусный Столъ*, настольная книга для молодыхъ хозяекъ, содержащая въ себѣ 370 обѣдовъ и употребительныхъ блюдъ съ подробнымъ алфавитнымъ указателемъ на каждый день, составила Н. Колоситцева, въ 2-хъ част., ц. 2 р. 50 к. съ пересылк.
- Единственный Практическія Правила* для приготовления всякаго рода печеній, вареній, кондитерскихъ издѣлій и разныхъ запасовъ на зиму, составила Люцена, съ 278-ю рецептами, ц. 1 р. 50 к. съ пересылк.
- Практическія Врачебныя Наставленія* вступившимъ въ бракъ, содержащія въ себѣ правила для сохранения физическихъ способностей въ брачной жизни до глубокой старости съ присовокупленіемъ описанія половой жизни женщины, сочиненіе доктора медицины Рудольфа Ферносу, съ рисунками, издан. 4-е, ц. 1 р. 50 к. съ пересылк.
- Лечебная Книга* тысяча новыхъ случайныхъ открытій исцѣленія хроническихъ и другихъ болѣзней съ присовокупленіемъ рецептовъ лекарствъ для домашняго приготовления, составилъ докторъ медицины А. Ильинскій, въ 3 част., издан. 2-е, ц. 3 р. съ пересылк.
- Опытный Врачъ* секретныхъ болѣзней, настольная книга для молодыхъ людей, содержащая въ себѣ: лечение венерическихъ болѣзней, онанизма, трипера, мужскаго безилія, и женскаго безплодія и прочихъ болѣзней половыхъ органовъ, составилъ докторъ В. Новиковъ, въ 3 част., ц. 2 р. съ пересылк.
- О физическихъ супружескихъ отношеніяхъ* мужчииы и женщины, съ показаніемъ наставленій—какъ мужъ и жена должны вести себя въ этомъ случаѣ безъ вреда своему здоровью, сочиненіе доктора медицины А. Брауна, издан. 2-е, въ 2 част., ц. 2 р. 50 к. съ пересылк.
- Объ Онанизмъ* и безиліи, о средствахъ снова возстановить и укрѣпить здоровье, разстроенное онанизмомъ и безиліемъ, сочиненіе доктора медицины А. Брауна, издан. 2-е, ц. 2 р. съ пересылк.
- Геморрой*, коренное уничтоженіе болѣзни во всѣхъ ея видахъ и измененіяхъ, новыя медицинскія и гигиеническія средства, сочиненіе доктора медицины В. Лебеля, издан. 2-е, ц. 2 р. съ пересылк.
- Будьте Здоровы* и лечитесь сами, когда нѣтъ врача, самоучитель сельскаго леченія и исцѣленія хроническихъ и другихъ болѣзней, съ присовокупленіемъ рецептовъ лекарствъ для домашняго приготовления, составилъ докторъ медицины К. Бенедиктовъ, въ 5-т част., ц. 4 р. съ пересылк.
- Ремесленная Книга*, содержащая въ себѣ слѣдующія ремесла и искусства для самоученія: I, сапожное мастерство, II, портное мастерство, III, столярное искусство, IV, плотничное искусство, V, токарное мастерство, VI, механическое и слесарное мастерства, VII, переплетное и футлярное мастерства, VIII, часовое мастерство, составилъ В. Власенъ, съ 276-т рисунками, ц. 3 р. 50 к. съ пересылк.
- Домашній Фотографъ*, Аппаратъ для копирования дома всякихъ фотографическихъ карточекъ, гравюръ, картинъ, портретовъ и проч., совершенно сходно съ оригиналомъ, съ приложеніемъ наставленія прибора и многихъ фотографическихъ карточекъ и гравюръ, ц. 4 р. съ пересылк.
- Собраніе* множества чудесныхъ и неостижимыхъ фокусовъ для легкаго представленія каждому въ домашнемъ кругу, составилъ профессоръ Жанъ-Мартини, издан. 2-е, ц. 1 р. 50 к. съ пересылк.
- Новый Способъ Рисованія*, посредствомъ котораго всякій, даже неимѣющій понятія о рисованіи, можетъ весьма легко, безъ всякой предварительной подготовки, снимать всевозможныя копіи съ рисунковъ, картинъ, фотографическихъ картъ, гравюръ, портретовъ и проч., совершенно сходно съ оригиналомъ, съ приложеніемъ наставленія прибора и многихъ рисунковъ въ великолѣпномъ картонажѣ, ц. 3 р. съ пересылк.
- Гадательныя Карты* знаменитой предсказательницы дѣвицы Ленорманъ, въ роскошной сюрпризной коробкѣ, ц. 2 р. съ пересылк.
- Оракулъ* супружеской жизни или брака и любви, совѣтникъ для всѣхъ, желающихъ быть счастливыми въ брачномъ состояніи, мысли извѣстныхъ писателей касательно воспитанія, предназначенія человека, женскаго пола, брачнаго состоянія и домашняго счастья, составилъ В. Россоловскій, издан. 2-е, ц. 1 р. 50 к. съ пересылк.
- Сладострастіе и Истощеніе*, общедоступное изложеніе всѣхъ средствъ для совершеннаго излеченія венерической болѣзни во всѣхъ ея видахъ и проявленіяхъ, возстановленіе плодородія, леченіе безилія и безплодія, возрожденіе утраченныхъ физическихъ силъ съ присовокупленіемъ рецептовъ лекарствъ для домашняго приготовления, составилъ докторъ медицины П. Сорокинъ, въ 3 част., издан. 2-е, ц. 3 р. съ пересылк.
- Домашній Лечебникъ*, или о продолженіи человеческой жизни, заключающій въ себѣ средства, какъ достигать здоровой и веселой старости, предохранять здоровье надежнѣйшими средствами и пользоваться болѣзни всякаго рода, съ показаніемъ причинъ и лекарствъ, составилъ М. Энгальчевъ, 4 т., издан. 2-е, ц. 4 р. 50 к. съ пересылк.
- СЪ ТРЕБОВАНЫЯМИ** Г.г. Иногородніе благоволятъ обращаться исключительно на имя *Христофора Ивановича Патрова, С. Петербургъ, Прядильная улица, близъ Англійскаго проспекта, домъ № 32, кв. № 4.* (2—2)